

*შპს გურამ თავართქილაძის  
სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტის  
იურიდიული კლინიკის  
დებულება.*

## მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთუნი) სამართლის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის სტატუსს, სტრუქტურასა და ფუნქციებს.

1.2 იურიდიული კლინიკა (შემდგომში - „კლინიკა“) არის გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის სასწავლო-საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სამართლის ფაკულტეტზე რეალიზებული სამართლის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში პროფესიული პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული სასწავლო პრაქტიკის კომპონენტის ათვისებას. იურიდიული კლინიკის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს გარესაუნივერსიტეტო მონაწილეობით მომზადებული ერთობლივი პროექტები.

1.3 კლინიკა, ამ დებულებით, სამართლის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამებისა და შესაბამისი სილაბუსების საფუძველზე უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკული კურსის რეალიზაციას, რაც თავის მხრივ ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტს პრაქტიკული საქმიანობის სათანადო პროფესიული უნარ-ჩვევები;

1.4 კლინიკა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს, არ გააჩნია კანცელარია, ბლანკი და ბეჭედი.

## მუხლი 2 კლინიკის ძირითადი მიზნები

2.1 კლინიკა უზრუნველყოფს სამართლის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას პრაქტიკის სილაბუსების შესაბამისად;

2.2 კლინიკა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცებასა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებას, სტუდენტის მიერ პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციების (ცოდნისა და უნარების) რეალურ ან/და იმიტირებულ სიტუაციებში გამოცდას, სტუდენტის მზაობის შემოწმებას დამოუკიდებელი მუშაობისათვის თანამედროვე მოთხოვნების პირობებში;

2.3 წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, კლინიკა თანამშრომლობს სხვა უნივერსიტეტებთან არსებულ მსგავს იურიდიულ კლინიკებთან და დაინტერესებულ პირებთან.

### მუხლი 3 კლინიკის საქმიანობის სფერო და წესი

3.1 პრაქტიკის კომპონენტის გავლის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

3.1.1 კლინიკის კომპონენტზე დარეგისტრირება;

3.1.2 პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ სტუდენტის დეტალური ინფორმირება კლინიკის საქმიანობის შესახებ, სილაბუსის შინაარსის გაცნობა, სამუშაოთა დაგეგმვა;

3.1.3 სამუშაო პროცესში ჩართვა და პრაქტიკის დღიურში ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება, სილაბუსის შესაბამისად დაგეგმილი აქტივობების განხორციელება მენტორის ზედამხედველობით;

3.1.4 პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება, შესრულებული სამუშაოების დემონსტრირებით;

3.1.5 პრაქტიკის დღიურის პერმანენტული წარმოება და პრაქტიკის ანგარიშის მომზადება;

3.1.6 პრაქტიკის საბოლოო შეფასება - პრაქტიკის ანგარიშის საჯარო პრეზენტაცია (დაცვა).

3.2 კლინიკის საქმიანობები და აქტივობები ძირითადად წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

3.2.1 სწავლება, რომელიც ორიენტირებული იქნება კლინიკის

სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზე;

3.2.2 სტუდენტთა უშუალო ჩართვა რეალური საქმეების წარმოებაში და რეალურ კლიენტებთან ურთიერთობაში;

3.2.3 იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება, ჩატარება, პროცესის შედეგების განხილვა;

3.2.4 სასამართლო პროცესებზე სტუდენტების დასწრების ორგანიზება;

3.2.5 მენტორის ხელმძღვანელობით უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა (სხვადასხვა ტიპის დოკუმენტის მომზადება; სამოქალაქო-სამართლებრივი კონტრაქტების, პროექტების მომზადება; სარჩელებისა და შესაგებლების შედგენა სამოქალაქო დავებზე და სხვ.); ამ მიზნით:

3.3 თითოეულ კლიენტზე იხსნება საქმე;

3.3.1 სტუდენტები ერთად ადგენენ განცხადებებს, სასარჩელო, სააპელაციო, საკასაციო საჩივრებს, შესაგებლებს სასარჩელო, სააპელაციო, საკასაციო საჩივრებზე და სხვა პროცესუალურ (სამართლებრივ) დოკუმენტებს;

3.3.2 სწავლობენ საქმის მასალებს;

3.3.3 მონაწილეობას იღებენ სასამართლო პროცესებში, როგორც ხელმძღვანელის დამხმარეები და ხელს უწყობენ მარწმუნებლის ინტერესების დაცვას.

3.4 კლინიკა განახორციელებს სხვადასხვა პრაქტიკულ საქმიანობას და გეგმავს შესაბამის ღონისძიებებს უნივერსიტეტის სტუდენტების სამართლებრივ-საკონსულტაციო/ სარეკომენდაციო დახმარების საქმიანობაში ჩართვისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.

3.5 კლინიკა პრაქტიკულ საქმიანობას განახორციელებს კლინიკის მენეჯერისა და კლინიკის მენტორთან ერთად შემდეგი მიმართულებებით:

3.5.1 კლიენტთან კონსულტაცია - ინტერვიუები;

3.5.2 სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება;

3.5.3 საქმის მასალების გაცნობა-შესწავლა;

3.5.4 საადვოკატო ეთიკისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება;

3.5.5 სასამართლო პრაქტიკის ანალიზი;

3.5.6 კლიენტების დაცვა წარმომადგენლობის განხორციელებით.

3.6 სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით კლინიკა ასევე ახორციელებს სამართლის პრაქტიკულ კურსს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეათვის.

3.7 საზოგადოების სამართლებრივი კულტურის განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით იურიდიული კლინიკა ახორციელებს კლინიკის სტუდენტთა ჩართულობით უფასო იურიდიულ კონსულტაციას ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

#### მუხლი 4 კლინიკის საქმიანობის საფუძველი

4.1 კლინიკაში საქმეთა შემოდინების წყაროებია:

4.1.1 პირდაპირი კომუნიკაცია პოტენციურ კლიენტებთან სტენდის, ცხელი ხაზის, ელექტრონული ფოსტის და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით;

4.1.2 პარალელურად საქმეთა შემოდინება მოხდება პარტნიორი იურიდიული კომპანიებიდან, რომლებთანაც გთუნი-ს აქვს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. აღნიშნული კომპანიები გადმოამისამართებენ მათ იურისდიქციაში მოხვედრილი საქმეების იმ კატეგორიას, რომელთა სირთულის დონე დასაძლევია იქნება კლინიკის სტუდენტებისთვის.

## მუხლი 5 სტუდენტის მოვალეობები

5.1 სტუდენტი ვალდებულია პასუხისმგებლობით მოეკიდოს კლინიკის კლიენტებსა და მისი განხილვის ქვეშ არსებულ საქმეებს; დაიცვას საქმესთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა; დაიცვას ეთიკის ნორმები. დაემორჩილოს წინამდებარე დებულების მოთხოვნებსა და კლინიკის ხელმძღვანელის/მენტორის მითითებებს; დაესწროს კლინიკის თეორიულ მეცადინეობებს, განახორციელოს პრაქტიკული დავალებები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც უკავშირდება მისი მონაწილეობითა და ჩართულობით საქმის წარმოებას.

## მუხლი 6 სტუდენტების შეფასება

6.1 სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტის ათვისების შეფასება ხდება კლინიკური სწავლების შედეგად მიღებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების მიხედვით შეფასების 100-ქულიანი მრავალკომპონენტური სისტემის საფუძველზე, სილაბუსით გათვალისწინებული წესით;

6.2 კლინიკაში მონაწილე სტუდენტთა შეფასება ხდება კლინიკის მენტორის, პრაქტიკის ხელმძღვანელისა და შესაბამისი კომისიის მიერ.

6.3 დადებითი შეფასებების შემთხვევაში, სტუდენტს ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტი.

## მუხლი 7 კლინიკაში საქმის წარმოების წესი

7.1 კლინიკაში სტუდენტები კლინიკის ხელმძღვანელის/მენტორის დახმარებით მიიღებენ საქმეებს და დაინტერესებულ პირებს გაუწევენ სათანადო სამართლებრივ დახმარებას, რა დროსაც ყოველ კლიენტზე იხსნება საქმე, რომელშიც შედის:

7.1.1 კლიენტის საანკეტო მონაცემები;

7.1.2 პრობლემის არსი, მიღებული ზომები და შედეგები;

7.1.3 ინფორმაცია გაწეული და გასაწევი მომსახურების შესახებ;

7.1.4 მტკიცებულებები და პროცესუალური დოკუმენტების ასლები;

- 7.1.5 რა შედეგით დასრულდა საქმე, თუ ამ კონკრეტულ საქმეზე უკვე დადგა სამართლებრივი შედეგები;
- 7.1.6 საქმესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია.
- 7.2 კლინიკის მომსახურებით დაინტერესებულ კლიენტთა, მათი საქმეების და სხვა დატვირთვის გადანაწილება კლინიკის სტუდენტებს შორის უნდა მოხდეს კლინიკის მენეჯერის ან მენტორის მიერ.
- 7.3 კლინიკის მომსახურების მისაღებად კლიენტმა უნდა გაიაროს შემდეგი ეტაპები:
- 7.3.1 კლინიკასთან პირველადი კონტაქტი (პირადი, სატელეფონო ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით);
- 7.3.2 ინტერვიუ კლინიკის მენტორის წინასწარი თანხმობითა და ხელმძღვანელობით;
- 7.3.3 სარეკომენდაციო დასკვნის გაცემა;
- 7.3.4 კლიენტის მიერ კლინიკაში წარმოდგენილი დედანი დოკუმენტების დაბრუნება;
- 7.3.5 საქმის დახურვა.
- 7.4 კლინიკის თითოეულ კლიენტზე, იხსნება საქმე შესაბამისი საიდენტიფიკაციო მონაცემებით. კლინიკაში იწარმოებს საქმეთა და დოკუმენტბრუნვის ერთიანი რეესტრი.

### მუხლი 8 იმიტირებული სასამართლო პროცესი

- 8.1 კლინიკის ყოველი სემესტრი შესაძლებელია დასრულდეს იმიტირებული პროცეს(ებ)ის ორგანიზებით/ჩატარებითა და კლინიკის შესაბამისი საფეხურის, სტუდენტთა საქმიანობის შემაჯამებელი ჯგუფური განხილვით;
- 8.2 იმიტირებული საქმეების წარმოების დასრულების შემდეგ, საქმეში მონაწილე სტუდენტები მოახდენენ აღნიშნული საქმეების ჯგუფურ განხილვას მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

### მუხლი 9 კლინიკის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა, შემადგენლობა

- 9.1 კლინიკას საქმიანობის საერთო ორგანიზაციას ახორციელებს კლინიკის მენეჯერი. მას ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით;
- 9.2 ფაკულტეტის დეკანი კლინიკის მენეჯერთან შეთანხმებით აკომპლექტებს კლინიკას მოწვეული მენტორი(ებ)ით;

9.3 კლინიკაში სამუშაოდ შეიძლება მოწვეულ იქნეს პრაქტიკოსი სპეციალისტ(ებ)იც.

9.4 მენტორების საქმიანობა ანაზღაურდება საათობრივად უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

### მუხლი 10 კლინიკის მენეჯერი

10.1 კლინიკის მენეჯერი:

10.1.1 პასუხისმგებელია საქართველოს ნორმატიული აქტების, გთუნი-ს დებულებების შესრულებაზე, რომელიც ეხება კლინიკის საქმიანობას;

10.1.2 ანაწილებს მოვალეობებს კლინიკის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

10.1.3 კლინიკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, გთუნი-ს მიერ დადგენილ ფარგლებში, ახორციელებს კლინიკის რესურსების მართვას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებაზე;

10.1.4 კომპეტენციის ფარგლებში, ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით წყვეტს კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს;

10.2 კლინიკის მენეჯერი ანგარიშვალდებულია გთუნი-ს რექტორისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

### მუხლი 11 კლინიკის მენტორი

11.1 კლინიკის მენტორი ახორციელებს კლინიკაში განსახილველად შემოსულ საქმეთა არსებით მართვას. ის ზედამხედველობს სტუდენტთა მიერ კლინიკაში შემოსული საქმეების მიღების, წარმოების, საბოლოო დოკუმენტის გაცემისა და დახურვის ყველა სამართლებრივ საკითხს.

11.2 კლინიკის მენტორი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს კლინიკაში დარეგისტრირებულ საქმეებზე, მათი წარმოებაში მიღების, წარმოების შეწყვეტის და დასრულების შესახებ.

11.3 მონაწილეობას იღებს კლინიკაში ჩატარებულ ჯგუფურ განხილვებში და იმპტირებულ სასამართლო პროცესებში;

11.4 პრაქტიკის ხელმძღვანელთან ერთად ახდენს კლინიკის სტუდენტის შუალედურ შეფასებას.

## მუხლი 12 კლინიკის პერსონალის მიღება-გათავისუფლების წესი

12.1 კლინიკის საქმიანობა ხორციელდება გთუნი-ს მიერ კლინიკის თანამშრომლებთან დადებული შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

12.2 კლინიკის პერსონალის მიღება-გათავისუფლებას და მათთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხს უშუალოდ წყვეტს გთუნი-ს რექტორი დეკანის წარდგინების საფუძველზე.

## მუხლი 13 იურიდიული კლინიკის შეფასება

13.1 კლინიკის მუშაობის შეფასება ხდება გთუნი-ს ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული თვითშეფასების ინდკატორებით, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის გზით, ასევე კლინიკის მიერ უსასყიდლოდ მიწოდებული მომსახურების მიმღებ პირთა გამოკითხვით, რაც ხორციელდება თანდართული კითხვარის შესაბამისად.

## მუხლი 14 დასკვნითი დებულებები

14.1 საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება შესაბამისი პრაქტიკის სილაბუსით.

14.2 წინამდებარე დებულება ძალაში შედის გთუნი-ს რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.